მოაშურა. აქ დაჰყო ხუთი წელი. თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე შევიდა. და აი, 1950 წელს, ვალენტინა თოჯინების ქართულ თეატრში იწყებს მუშაობას.

ადრე არც იტაცებდა თეატრის ეს ჟანრი ვალენტინას, მაგრამ დაიწყო თუ არა პირველი სპექტაკლის — „გაზაფხულის ყვავილებისათვის" მზადება და მუშაობა, მალე აუღო ალღო თეატრის სპეციფიკას, შეიგნო თავისი პასუხიმგებლობა და საქმის მნიშვნელობა. წლების მანძილზე მის მიერ ნაკეთებმა ბუტაფორიებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბევრი სპექტაკლის გამარჯვებაში.

1953-54 წლებში მან მხატვრულად გააფორმა კ. მაჭარაძის პიესის „დათუნიას სამართალის" დადგმა. სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

იმხანად მოსკოვში ჩატარდა საბავშვო თეატრების მხატვართა კონფერენცია, სადაც დემონსტრირებული იყო ვალენტინა პოტერალოვსკაიას ნამუშევრები და ესკიზები. კონფერენციის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს მის ნამუშევრებს და აღნიშნავდნენ იმ სიახლის, სისადავის, თოჯინების სპექტაკლების სპეციფიკის კარგი ცოდნისა და გამომგონებლობის შესახებ, რომლებიც ნათლად იგრძნობოდა ვალენტინას ნამუშევრებში. გარეთ „სოვეტსკაია როსიაში", სხვა საბჭოთა მხატვრებთან ერთად, ქებით იყო მოხსენებული ვალენტინას გვარიც.

ვალენტინა ანატოლის ასული თოჯინების თეატრში მუშაობს. პარალელურად ჩაება პიონერთა სასახლის და მასწავლებელთა სახლის საქმიანობაშიც. იგი წლების მანძილზე შეუნელებელი ენერგიით ხატავს და კერავს საკარნავალო კოსტუმებს პიესისათვის, ამზადებს რეკვიზიტებსა და ბუტაფორიებს.

მის მიერ დამზადებული თოჯინები დღესაც ართობენ გორის, თელავის, ლაგოდეხისა და ყვარლის ნორჩ მაყურებლებს.

ვალენტინა ანატოლის ასული ტესტოვა-პოტერალოვსკაიას ახლო ურთიერთობა აქვს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრთან. სწორედ მან დაამზადა პიესა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონისათვის" ძაღლის გამოსახულება და „რომეო და ჯულიეტასათვის" ნიღბები და ხმლები. მუსკომედიის თეატრში მხატვრებთან ყაზბეგთან და თავაძესთან ერთად სხვადასხვა პიესისათვის შექმნილი აქვს მრავალი ბუტაფორია. ასევე ამშვენებენ მის მიერ დამზადებული ბუტაფორიები სომხური თეატრის ბევრ დადგმას.

აღნიშვნისა და ქების ღირსია ვალენტინას ღვაწლი ტელევიზიაში. მის მიერ დამზადებულმა მაკეტებმა და სხვა ნამუშევრებმა ხელი შეუწყო მინიატიურების წრეების მუშაობას.

შემოქმედებით ფერხულში ჩაბმულმა დედამ თავის ერთადერთ შვილშიაც შთანერგა ხელოვნებისადმი სიყვარული. ჭაბუკი ორი წელი ამზადებდა ბუტაფორიებს მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრისათვის. ამჟამად კი იგი მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია.

ვალენტინა ანატოლის ასულს უყვარს თოჯინების თეატრი. მისი პატარა და ცნობისმოყვარე სტუმრები და გული სიამაყით ევსება, როცა სპექტაკლის შემდეგ ხედავს ნორჩი მაყურებლების კმაყოფილებით გაბრწყინებულ სახეებს.

**თამარ გომართელი**